საშინაო დავალება – პროექტი „ანოტაცია“

ნინო ლომიძე

საშუალო საფეხურზე მოსწავლეს აუცილებლად უნდა ჰქონდეს თავისუფალი არჩევანისა და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა. ჩვენს სკოლებში მთელი 12 წლის განმავლობაში მოსწავლე, მეტწილად, პასიური მონაწილეა სწავლა-სწავლების პროცესისა. მას ავალებენ და ისიც აკეთებს იმას, რასაც ავალებენ, ისე, როგორც ავალებენ დაწყებით საფეხურზეც, საბაზოზეც და საშუალო საფეხურზეც, როცა ჩვენ წინ უკვე შემოქმედებითი ენერგიითა და თვითგამოხატვის დაუოკებელი იმპულსებით სავსე ახალგაზრდები არიან.

ვთქვათ პირდაპირ – სასკოლო ცხოვრება უკიდურესად სტანდარტიზებული და ცენტრალიზებულია.

შემოქმედებითი დავალებები კარგი საშუალებაა ამ სტანდარტიზებული ჩარჩოების (მატრიცების) გასარღვევად. ერთ ასეთს გთავაზობთ სწორედ:

მნიშვნელოვანი უნარები, რომლებიც ქართულის გაკვეთილზე შეიძლება განვავითაროთ, არის:

- წასაკითხი ტექსტის დამოუკიდებლად შერჩევა. შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება
- კითხვა და წაკითხულის გაგება, გააზრება
- ნააზრევის წერილობით ჩამოყალიბება
- შექმნილი შემოქმედებითი პროდუქტის მკითხველამდე მიწოდება
- დავალების შესრულების ვადის განსაზღვრა და „ბოლო ვადის“ დაცვა დამოუკიდებლად
- სხვათა ნააზრევის მოსმენა და მოსმენილის გაგება, გააზრება
- მოსმენილის მიხედვით მოსაზრებების ჩამოყალიბება-გაზიარება

დავალება, რომელზეც წერილში ვისაუბრებ, ამ მიმართლებებით შესანიშნავად ააქტიურებს მოსწავლეთა შესაძლებლობებს.

როგორ არჩევთ ხოლმე წასაკითხ წიგნებს?

გისაუბრიათ ამ თემაზე მოსწავლეებთან? წიგნების მაღაზიაში ან გამომცემლობების სტენდებთან, ფესტივალებზე, რა კრიტერიუმებით არჩევთ საკითხავს?

პასუხად ამ კითხვებზე ვინმე აუცილებლად ახსენებს – „ვკითხულობ წიგნის უკანა გვერდზე ან შესავალში დაწერილს ავტორსა და ტექსტსზე“. ამ პასუხიდან გამომდინარე კლასს ანოტაციის რაობასა და მნიშვნელობაზე შეგვიძლია გავესაუბროთ და დავალების პირობაც გავაცნოთ.

ინსტრუქცია

კლასში თითოეული მოსწავლე ირჩევს წიგნს. ჟანრი და მოცულობა არ განისაზღვრება. მოსწავლე არჩევანში სრულიად თავისუფალია. არჩეული წიგნის მიხედვით მოსწავლეებმა უნდა მოამზადონ ანოტაცია. ანოტაცია შეუძლიათ წარმოადგინონ სამი სხვადასხვა ფორმით:

- ვიდეო
- ზეპირი წარდგენა
- წერილობითი (ნაბეჭდი ან ხელნაწერი)

მოსწავლეები ასევე თავისუფალნი არიან ჩაბარების ვადაში. განისაზღვრება მხოლოდ ბოლო ვადა (მიმდინარე სემესტრის ბოლო კვირა). ასე მოსწავლეებს შესაძლებობა ექნებათ, თავად განსაზღვრონ სამუშაო დატვირთვა და ფხიზლად იყვნენ, რომ ვადა არ გაეპაროთ. განსაკუთრებით უნდა იფხიზლონ მოსწავლეებმა, რომლებსაც ზეპირი წარდგენა აქვთ არჩეული – მათ მასწავლებელი ერთი დღით ადრე უნდა გააფრთხილონ, რომ მომდევნო გაკვეთილზე წარდგენას აპირებენ. მასწავლებელი გამოყოფს საჭირო დროს (ამასაც მოსწავლე საზღვრავს. ვიღაცას 5 წუთი დასჭირდება, ვიღაცას 8 ან 2) და გაკვეთილის დაწყებისას აცნობს კლასს მიმდინარე გაკვეთილის გეგმაში ცვლილებებს.

ერთჯერადი ინსტრუქციის მიღების შემდეგ მოსწავლეები დამოუკიდებლად იწყებენ მუშაობას და ანოტაციის მომზადებას. მათ იციან, რომ ნებისმიერი კითხვით შეიძლება მიმართონ მასწავლებელს.

რასაკვირველია, ყველაზე მეტი კითხვა ეხება საკუთრივ ფორმატს – რას ნიშნავს ანოტაცია და როგორ იწერება ანოტაცია.

ქართულ ენაზე საძიებო სისტემაში იძებნება რამდენიმე საგულისხმო, საინტერესო სტატია თემასთან დაკავშირებით. მოსწავლეებს შეუძლიათ გაეცნონ და თავად ამოიწერონ მახასიათებლები.

ამ წერილში გთავაზობთ ანოტაციის განმარტებასა და ნიმუშსაც. ზოგიერთი მოსწავლისთვის ნიმუში მნიშვნელოვანი სამარჯვია წერითი დავალების შესასრულებლად.

რას ნიშნავს ანოტაცია?

ანოტაცია ერთგვარი დახასიათებაა, „სარეკომენდაციო წერილი“, ოღონდ დაწერილი მკითხველის მიერ წაკითხულ წიგნზე. ანოტაცია ლათინური სიტყვაა და ნიშნავს „შენიშვნას“. ანუ იმას, რაც აღნიშვნის, შენიშვნის, შეფასების, გამოყოფის „ღირსია“.

რისთვის/ვისთვის იწერება ანოტაცია?

ანოტაციის მიზანია ტექსტის აღწერა იმგვარად, რომ მკითხველს შეექმნას შთაბეჭდილება ავტორზე, წიგნის შინაარსზე, ძირითად სიუჟეტურ ხაზზე, გმირებზე. ანოტაცია წარმოაჩენს ნაშრომის თავისებურებებს, მიმოიხილავს შინაარსობრივ მხარეს და განკუთვნილია იმისთვის, რომ მკითხველს გაუადვილდეს არჩევანის გაკეთება

რამხელა უნდა იყოს?

ანოტაცია მცირე მოცულობისაა. 150-200 სიტყვა სავსებით საკმარისია იმისთვის, რომ წარმოდგენა შევუქმნათ სხვებს – რაზეა წიგნი? როგორია ანოტაციის ავტორის აზრით წიგნი? ვინაა ავტორი და რა ვიცით მასზე?

რა უნდა იყოს ანოტაციაში?

მოკლე ცნობები წიგნის ავტორის შესახებ, შესაძლოა, სახელწოდების, სათაურის, ქვესათაურების შესახებ მსჯელობა. დასაშვებია საინტერესო ფაქტების მოძიება-გადმოცემა გამოცემის(გამოშვების, შექმნის) ადგილსა და თარიღზე.

ანოტაციის ნიმუშები ხშირად წიგნების ყდების უკანა გვერდზეა ხოლმე მოთავსებული ავტორის სურათთან ერთად.

ჯერომ სელინჯერი „ჭერი ასწიეთ, დურგლებო“

„ რაღაცნაირი პირუკუღმა პარანოიკი ვარ. ასე მგონია, ადამიანები პირს კრავენ, რომ ბედნიერი გამხადონ“

ბადი გლასი, მთავარი გმირი

სელინჯერი ან გულითადი სიყვარულით უყვართ ან საერთოდ გაუგებრობად მიაჩნიათ. მის ტექსტებში არ ხდება არაფერი.

არასდროს არაფერი არ ხდება.

ტექსტები ან შინაგანი მონოლოგია, ან დიალოგი და საოცარი დაკვირვებები ყველასა და ყველაფერზე.

თუ გმირია მთხრობელი, ის აკვირდება და ამჩნევს სამყაროში გასაოცარ დეტალებს, ზუსტად, გამაოგნებელი სიცხადით აღწერს აღსაწერს.

„ ვენტილატორები გამოერთოთ და როცა ჰაერი ჩავისუნთქე, მომეჩვენა, თითქოს ბეწვის ქურქის ჯიბეში ვზივარ და ღრმად ვსუნთქავ-მეთქი!“

თუ დიალოგითაა გადმოცემული სათქმელი, მთქმელი ისე გამოხატავს საკუთარ მდგომარეობას, ფიქრობ – ეს ხომ მე ვარ. მეც მითქვამს, მიფიქრია. გამიკეთებია ასე!

„ჭერი ასწიეთ, დურგლებო“ ერთი დღის ამბავია. ბადი გლასი ძმის, სეიმურის ქორწილის დღეს აღწერს.

დღე ქაოსის, გაუგებრობების, ფორიაქის კორიანტელად იქცევა.

სიძე არ მოდის, სტუმრები გაოგნებულები, გაღიზიანებულები, დაღლილები არიან. ასეთ ვითარებაში ადამიანები მიჩქმალულ, ფარულ თვისებებს შესანიშნავად ამჟღავნებენ. სტრესსა და დაძაბულობაში ურთიერთობებიც წახნაგოვანი და საინტერესო ხდება.

მთავარი გმირი პატარძლის ოჯახის წევრებითა და ახლობლებითაა გარემოცული და ამ ფონზე მისი ოჯახის ამბავი, მისი ფაქიზი და ხისტი გრძნობები მკითხველის თვალწინ იშლება.

სელინჯერი დიდოსტატია და მისი სუპერძალა ადამიანის შინაგანი ბუნების, მდგომარეობის გამომზეურებაა. ამას ის მოგონებების, შინაგანი მონოლოგის, უწყვეტ ფიქრთა კასკადის სიტყვებში გადმოფრქვევით აღწევს.

ჯერომ სელინჯერის ტექსტები აფიქრებს, აღიმებს, ასევდიანებს, უფრო დაკვირვებულს ხდის მკითხველს.

კითხულობ და სწავლობ, გახდე უკეთესი ადამიანი. სუპერდამკვირვებელი. ცდილობ, ამოიცნო ეს გაუგებარი, მშვენიერი, მომნუსხველი სამყარო და საკუთარი თავი, ასეთივე გაუგებარი, დიდებული, განუმეორებელი და ღირსშესანიშნავი.